



ევროპის ინოვაციების აკადემიის "ინოვაციების და მეწარმეობის ლიდერობის ბანაკი" სტუდენტებისთვის 5-9 სექტემბერი, 2022 ბათუმი

"INNOVATION AND ENTREPRENEURSHIP LEADERSHIP BOOTCAMP" FOR STUDENTS OF THE EUROPEAN INNOVATION ACADEMY SEPTEMBER 5-9, 2022 BATUMI

For English Scroll Down

ძვირფასო სტუდენტებო, იმედია კარგად ისვენებთ. არაჩვეულებრივი ამბავი გვაქვს თქვენთვის:

5-9 სექტემბერს, ევროპის ინოვაციების აკადემიის "ინოვაციებისა და მეწარმეობის ლიდერობის ბანაკი" საქართველოში, ბათუმში ჩატარდება. პროგრამას წარმართავენ კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის - სუტარჯას მეწარმეობის და ტექნოლოგიის ცენტრის ფაკულტეტისა და სილიკონის ველის სხვადასხვა წამყვანი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

მსოფლიოს უმსხვილესი სამეწარმეო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც ამჟამად ირიცხებიან უნივერსიტეტში (ან დაასრულეს მიმდინარე წელს), დაინტერესებულნი არიან შეისწავლონ მეწარმეობა და განიხილავენ ამ მიმართულებით კარიერის გაგრძელებას. ბუტკემპში სწავლა წარიმართება ინგლისურ ენაზე.

პროექტი უნიკალურ შესაძლებლობას გაძლევთ მოიპოვოთ სწავლის და საცხოვრებელი ხარჯების სრული დაფინანსება.

ბანაკის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <https://www.inacademy.eu/georgia/>.

მონაწილეობით დაინტერესებულმა პირებმა აპლიკაცია უნდა შეავსოთ **22 აგვისტომდე**: <https://bit.ly/3SAHUnS>.

კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ქეთი სიდამონიძეს: Keti_Sidamonidze@dai.com



ევროპის ინოვაციის აკადემია (EIA) წარმოადგენს მსოფლიოს უმსხვილეს სამეწარმეო პროგრამას უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. 2013 წლიდან დღემდე, EIA-მ შეძლო განათლება მიეცა 45 ქვეყნის 17,000 სტუდენტისთვის. EIA-ს პროგრამა უნიკალურია თავისი შინაარსის, სტრუქტურის, მიდგომის და მეწარმეობის დარგის სწავლების მხრივ. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის, სტენფორდის უნივერსიტეტის პედაგოგების, ასევე Google-ის, Facebook-ის და სილიკონის ველის სხვა წამყვანი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მხარდაჭერით. 2018 წელს, გაზეთმა „Financial Times“-მა (ლონდონი) EIA შეიყვანა ევროპის 100 ყველაზე მნიშვნელოვანი ციფრული პიონერების სიაში.

EIA პროგრამა ქართველ სტუდენტებს სთავაზობს უნიკალურ შესაძლებლობას, იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებისგან შემდგარ ინტერკულტურულ გუნდებთან ერთად და შეიძინონ ცოდნა და გამოცდილება, რაც დაეხმარება მათ იდეების წარმატებულ სტარტაპებად გარდაქმნაში.

პროგრამა საქართველოში კავკასიის უნივერსიტეტთან, აშშ-ის ბაზარზე წვდომის ცენტრთან (USMAC) და Startup Connect-თან პარტნიორობით ჩატარდება. მნიშვნელოვანია ის, რომ 2023 წლიდან პროექტს კავკასიის უნივერსიტეტის ბათუმის კამპუსი უმპასპინძლებს.

EIA აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამისა და სხვა კერძო ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდება.

Dear students, hope you're enjoying your Summer. We have great news for you:

On September 5-9, the Innovation and Entrepreneurship Leadership Camp of the European Innovation Academy will be held in Batumi, Georgia. The Bootcamp will be taught by faculty from the UC Berkeley Sutardja Center for Entrepreneurship and Technology and senior leaders from multiple leading Silicon Valley organizations.

The world's largest entrepreneurship program is designed for students who are currently enrolled in university (or just graduated this year) who have an interest in exploring entrepreneurship as a career option. The Bootcamp will be delivered fully in English.

The project gives you a unique opportunity to obtain full scholarship for studying and living expenses.

See detailed information about the Bootcamp on the link: <https://www.inacademy.eu/georgia/>

Those interested in participating should fill out the application **by August 22**: <https://bit.ly/3SAHUnS>

In case of questions please, contact to Ketii Sidamonidze: Ketii_Sidamonidze@dai.com



The European Innovation Academy (EIA) is the world’s largest entrepreneurship program for university students. Since its first program in 2013, EIA has educated more than 17,000 students from eighty-five countries. The EIA program is unique in its content, structure, and approach to teaching entrepreneurship.

The EIA program offers Georgian students is a unique opportunity to work in intercultural teams with students from different countries of the world and to gain knowledge and experience in turning an idea into a viable startup.

The program will be held in Georgia in in partnership with Caucasus University, US Market Access Center (USMAC) and Startup Connect. It is noteworthy that the project will be hosted by Batumi campus of Caucasus University from 2023.

The EIA program is made possible by the support of the Ministry of Education, Culture and Sport of Adjara Autonomous Republic, the Ministry of Education and Science of Georgia, Georgia’s Innovation and Technology Agency, the USAID Economic Security Program, and other private sector donors.

